



ი.გ.პ. ქალთა ასოციაცია “თანხმობა”

ი.გ.პ. ქალთა ასოციაცია “თანხმობა” -ს
მუშაობა 2020 წლის მარტი-მაისის
თვეებში

თბილისი

სწრაფი რეაგირება COVID-19 ის პანდემიისა და კარანტინის დროს

2020 წელი ძალიან მძიმე და რთული აღმოჩნდა არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. მარტის თვიდან ჩვეული ცხოვრება უხილავ მტერთან ბრძოლად გადაიქცა. ასოციაცია „თანხმობა“ ყოველთვის მუშაობდა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებთან: დევნილებთან, მარტოხელა მოხუცებთან, ბავშვებთან. ასეთ რთულ სიტუაციაში, ეს ჯგუფები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ასოციაციას მუშაობა არ შეუწყვიტავს და ყველანაირად ცდილობდა ამ პირთათვის ყოფის შემსუბუქებას.



არსებული პროექტების ფარგლებში მუშაობა გაგრძელდა მოხუცებულთა ცენტრებში. იქიდან გამომდინარე, რომ მოხუცები ყველაზე მაღალ რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან, ასოციაციის თანამშრომლები და მოხალისეები მათ სახლებში ემსახურებოდნენ: აწვდიდნენ პროდუქტებსა და წამლებს, ასევე პირველადი მოხმარების საგნებს. ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს გორისა და ბოლნისის ადგილობრივმა ხელისუფლებებმა. ასოციაციის მხრიდან თანადაფინანსება პროექტი „პური მსოფლიოსთვის“ ფარგლებში ხორციელდება.

ჩვენი მოხალისეები მოხუცებზე ზრუნავდნენ გუგუტიანთკარსა და კოშკაში. ასოციაცია დაეხმარა გორის რაიონ სოფ. ზარდიაანთკარში მცხოვრებ 70 წელს გადაცილებულ ხანდაზმულებს პროდუქტითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით.

მოხალისეებმა ამ რთულ პერიოდში ძალიან დიდი შრომა გაწიეს: ცივინო ელიკაშვილი – ზარდიაანთკარი, ლია

მიქელაძე – კოშკა, ნათელა სიმონიშვილი – გუგუტიანთკარი, ირმა დოკაძე – ნიქოზი, მარიამ მჭედლიძე – ნიქოზი, ნინო ზანგალაძე – კარალეთის დევნილთა ჩასახლება, ლალი ბეჟანიშვილი – კარალეთი.

ასევე აქტიურად მუშაობდნენ კაზრეთის მოხუცებულთა ცენტრის მოხალისეები და თანამშრომლები. სამწუხაროდ, ბოლნისის მუნიციპალიტეტი საკარანტინო ზონაში მოხვდა, რამაც უფრო გაართულა სიტუაცია, მაგრამ ასოციაციის მოხალისეები მაინც ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ საქმიანობას და მოხუცებს მაქსიმალურად უმსუბუქებდნენ ყოფას.

ეპიდემიის პირველივე დღეებში გაჩნდა პირბადეების დეფიციტი. ჩვენმა აქტივისტმა ქალებმა ამ პრობლემის აღმოფხვრა გადაწყვიტეს. შავშვების დევნილთა დასახლებაში მცხოვრებმა პედაგოგმა გალინა ქელესაევამ, დასახლებაში არსებულ სამკერვალოში პირბადეები შეკერა და დევნილ მოსახლეობას საჩუქრად დაურიგა. ქვეყანაში არსებული პანდემიის და პირბადეების დეფიციტის გამო, გადაწყვიტეთ, შავშვების დევნილთა დასახლებაში არსებულ სამკერვალო-სალონში მრავალჯერადად გამოსაყენებელი პირბადეები შეგვეკერა და მოსახლეობისთვის საჩუქრად დაგვერიგებინა.



„დიდი მადლობა ასოციაცია „თანხმობა“-ს, რომ ზრუნავს შავშვების დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე,“ - აღნიშნა გალინა ქელესაევამ. კონფლიქტისპირა სოფლებში - სოფელ ფახულანში, დევნილთა დასახლებაში და სოფელ ჩყოუშში დარიგდა პირბადეები. შეიკერა 420 პირბადე, 100 გადაეცა წალენჯიხის მერიას, 100 - ზუგდიდის მერიას, დანარჩენი დარიგებულია ფახულანსა და დევნილთა დასახლება "ვექტორში" (ზუგდიდი). გარდა ამისა, 600 ცალი შეკერილია დევნილი ქალების მიერ და დარიგებულია ფაიფურის დასახლებაში (ზუგდიდი), ინგირის დევნილთა ცენტრებში, 240 ცალი შეკერილია კონფლიქტისპირა სოფელ განმუხურში. 225 ცალი შეკერილია და დარიგებულია დევნილთა დასახლება შავშვებში (შიდა ქართლი). მოცემული პროექტის ფარგლებში სულ 12 დევნილი ქალბატონი დასაქმდა.

ასოციაციის სამედიცინო ჯგუფი წლების მანძილზე ზრუნავს დევნილებისა და მოხუცების ჯანმრთელობაზე. პანდემიის პირობებში შიდა ქართლის რეგიონში დარიგდა მედიკამენტები: ქ. გორის დევნილთა დასახლებებში 40 ხანდაზმულსა და კონფლიქტისპირა სოფლებში - 43 ხანდაზმულს დაურიგდა.

მხარდაჭერა იანეთში მცხოვრებ რეპატრიანტებს

იმერეთის რეგიონში, სოფელ იანეთში წლებია რეპატრიანტები ცხოვრობენ. მათი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და ისინი მუდმივ დახმარებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ. ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერი და წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში, ქ-ნი ლეილა აშორდია, მათ ამ დახმარებასა და მხარდაჭერას წლების მანძილზე უწევს. ამჟამად იანეთის თემში დარიგდა მედიკამენტები და პირველადი მოხმარების საგნები.



დეზინფექცია

პანდემიის პირობებში ძალზე აქტუალური გახდა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. სამწუხაროდ, ეს შრომატევადი და საკმაოდ დიდ თანხებთან დაკავშირებული პროცესია, რომელიც ყველგან ვერ ჩატარდებოდა. ასოციაციის დონორებთან და პარტნიორებთან შეთანხმებით და მათი ფინანსური მხარდაჭერით, შიდა ქართლში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა. დეზინფექცია გორის ოფისის თანამშრომლებმა განახორციელეს. პროცესს უძღვებოდა ბ-ნი ხვთისო ლობჯანიძე. დეზინფიცირება ქლორიანი ხსნარით გაუკეთდა:

- 1) ქარელში სამსამსართულიან კორპუსსა და ერთ საბავშვო მოედანს ვაჟა-ფშაველას 117 ნომერში; ორ სამსართულიან კორპუსს ახალგაზრდობის 5-ში (ჯამში 5 კორპუსს);
- 2) აგარაში ერთ სამსართულიან კორპუსს ვაშაკიძის 29-ში;
- 3) გორში ანწუხელიძი სქუჩაზე 3 ორსართულიან საერთო საცხოვრებელს, ორი 10 სართულიანი კორპუსის ათივე სართულსა და ორ საბავშვო მოედანს.

გამოყენებულიქნა 580 ლიტრი ქლორის შემცველი ხსნარი, რომელიც შეზავებული იყო პროპორციით 10 ქლორის ტაბლეტი/100 ლიტრ წყალზე. დეზინფიცირება ხორციელდებოდა დამცავი აღჭურვილობის გამოყენებით, რომლის ნაწილიც მნიშვნელოვნად დაზიანდა.

5 მაისს დეზინფექციის მეორე ეტაპი ჩატარდა. სპეციალური ხსნარით დამუშავდა 18 მრავალბინიანი კორპუსის საერთო სარგებლობის ფართები - სადარბაზოები, დერეფნები და შენობის მიმდებარე ტერიტორიები. აღნიშნულ შენობებში 880 დევნილი ოჯახია შესახლებული.

გორთან ერთად სადეზინფექციო სამუშაოები შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის ყველა დევნილთა ჩასახლების ცენტრს ჩაუტარდა. მეორე ეტაპის სამუშაოები დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისა და იძულებით

გადაადგილებულ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“-ს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.



ლიდერთა აკადემია მუშაობას აგრძელებს online რეჟიმში

ასოციაციის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას დევნილი ქალების სწავლება წარმოადგენს. წლების განმავლობაში ასოციაციაში ფუნქციონირებს „ლიდერთა აკადემია“, რომელსაც ქ-ნი მარინა ფოჩხუა უძღვეს. სამწუხაროდ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პერსონალური შეხვედრები შეუძლებელი გახდა, თუმცა აკადემიამ მუშაობა online რეჟიმში განაახლა. „ლიდერთა აკადემია“ ხორციელდება „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერილი პროექტის „ერთად ჩვენი უფლებებისთვის“ ფარგლებში

ონლაინ ტრენინგები ტარდება აპრილიდან. სწავლება მიმდინარეობს ერთდროულად ორ ჯგუფთან სამეგრელოდან: ერთი ჯგუფი ზუგდიდის 2019 წლის ლიდერთა აკადემიის კურსდამთავრებულებისგან შედგება; ხოლო მეორე - ახალი ჯგუფია, რომელშიც გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და დევნილი ქალები შედიან. ყველა მონაწილე არის ქალბარონი, ასაკით 26-60 წლის.

ძირითადი თემები, რომლებზეც ტრენინგები უკვე ჩატარდა იყო: კორონავირუსის დროს სიტუაციური ანალიზი; ტრავმა და მისი შედეგები; კრიზისის თავისებურებანი, გადალახვის ფორმები და მაგალითები; ოჯახში ძალადობა; მოქალაქეების ეკონომიური შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებები; როგორ მოვაშაადოთ ბიზნეს-იდეა.



იწყება ახალი პროექტი ხანდაზმულთა უფლებების მხარდასაჭერად საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში

2020 წლის 1 იანვარს ოფიციალურად დაიწყო „მხარდაჭერის სახლი - მომსახურებები დღევანდელთა ღირსეული ცხოვრებისთვის საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში“ პროექტის დანერგვა. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია Hilfswerk International (HWI) (ჰილფსვერკ ინტერნეშენალ). აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოდან და ბოსნია-ჰერცეგოვინიდან. ეს ორგანიზაციებია: იმპულსებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“, „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი“ - საქართველოში, ხოლო „Hilfswerk International“-ის სარაევოს ოფისი და „HAJDE დახმარებისა და განვითარების ასოციაცია“ - ბოსნია-ჰერცეგოვინაში. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხანდაზმულების ხელმისაწვდომობის ზრდას შინმოვლის მომსახურებებზე ოთხ მუნიციპალიტეტში (ორი საქართველოში და ორი ბოსნია-ჰერცეგოვინაში) და წვლილი შეიტანოს ისეთი ინკლუზიური სოციალური პოლიტიკის ჩარჩოს შექმნაში, რომელიც გააუმჯობესებს ხანდაზმულთა მდგომარეობას საზოგადოებაში და უზრუნველყოფს მათი უფლებების რეალიზებას.

დაბრუნებული მიგრანტების ხელშეწყობა

მარტის თვეში ასევე ჩატარდა OFII-ს მორიგი კომისიის სხდომა. პროგრამა ეხმარება საფრანგეთიდან დაბრუნებულ მიგრანტებს - საქართველოს მოქალაქეებს. მარტში დაფინანსდა სულ 55 სოციალური და ბიზნეს პროექტი, რომელთა განხორციელება იწყება ასოციაციის მეთვალყურეობით. ბიზნეს პროექტთა შორის, 22 არის მეცხოველეობის სფეროში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც შემოსავლებს, ასევე ბენეფიციართა ოჯახთა სუსრსათით უზრუნველყოფის საშუალებებს.

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში ეხმარება COVID-19 პანდემიის დროს დაზარალებულ მოწყვლად მოსახლეობას

ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის დელეგაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „კოვიდ-19-ის ეპიდემიაზე სწრაფი პასუხის მექანიზმის“ ფარგლებში. პროექტი მოწოდებულ იქნა დელეგაციის მიერ, და 29 მაისიდან დაიწყო მისი იმპლემენტაცია. მისი მიზანია დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების გამძლეობის გაზრდა კოვიდ 19-ის შედეგების მიმართ საქართველოში. პროექტი იმუშავებს დევნილთა რამდენიმე ჩასახლებაში შიდა და ქვემო ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოს რეგიონებში. პროექტით გათვალისწინებულია თემებში ქალთა ჯგუფების შექმნა და გაძლიერება, რათა მოხდეს თემის მობილიზაცია კოვიდის და სხვა შესაძლო გამოწვევების წინააღმდეგ. პროექტი არის 10-თვიანი, და განხორციელდება კოალიციურად - პროექტის გუნდში, „თანხმობა“-ს გარდა შედიან: მეწარმე ქალთა ფონდი, ჰუმანიტარული-საქველმოქმედო ფონდი „აფხაზეთი“, და ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავიწყეთ ახლა“.

ქალთა პრიორიტეტებზე ასოციაცია „თანხმობა“ ასევე იმუშავებს ფონდ „აფხაზეთთან“ ერთად გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ლიდერი-ქალბატონების გაძლიერებას და მათ აქტიურ ჩართულობას თემთა კოვიდის შედეგებისგან დაცვის საკუბურებში.

ასოციაცია აგრძელებს მუშაობას მოხალისეებთან და მხარდამჭერებთან ერთად.

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!
გისურვებთ ჯანმრთელობას!

ჩვენი მხარდამჭერები და პარტნიორები



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**Brot
für die Welt**

WITH FUNDING FROM
**AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION**



CHCA
**Charity
Humanitarian
Centre
Abkhazeti**

**UN
WOMEN**
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women



**დავიწყლოთ
ახლა**



www.idpwa.org



admin@idpwa.org.ge



234 49 82



თამარ მეფის ბაზარი: №20



IDP Women Association
"Consent"